

ნიკოლოზ გოგიტიძე, მამუკა გოგიტიძე



# საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლაბი



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი 2023

(UAK) 34 (479.22)  
გ-603

სამეცნიერო რედაქტორი:  
**გივი რევაზიშვილი**  
იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი

ავტორები გულითად მადლობას უხდიან ბატონებს:  
**ანზორ ბალუაშვილს, გიორგი თვალავაძეს,**  
შოთა კოპაძეს, დიმიტრი ჩიტლოვს,  
იოსებ არჩვაძეს, გია ბახტაძეს, ალექსანდრე კოდუას,  
**დავით ხანდრატიანს და დავით ფეიქრიშვილს**  
ნიგნზე მუშაობისას განეული დახმარებისათვის

**დამკაპადონებელი თამარ ტყაბლაძე**  
კორექტორი **მანანა გორგიშვილი**

ყველა უფლება დაცულია, წინამდებარე წიგნის არც ერთი ნაწილი არ  
შეიძლება იყოს გამოყენებული საავტორო უფლებების მქონე პირთა  
წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ნ.გოგიტიძე, მ.გოგიტიძე

ISBN 978-9941-508-32-5

ვუძღვნით მამის  
საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის  
**ჯემალ გოგიტიძის**  
**90 წლისთავს**



ჯერად ნიკოლოზის-ძე გოგიშვილი  
(07.04.1933-23.11.1996)

იუსტიციის პოლიციის მთავრი (16.02.1978)  
იუსტიციის უფროსი მრჩეველი (27.07.1989)

ეროვნული სამხედრო პროცესატურის ფუნქციები

დაიბადა ქ.ტფილისში. (1936 წ. - ქ.თბილისი).

1940-1951 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა № 24-ე საშუალო სკოლაში.

1951 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მუშად რუსთავის ო.სტალინის სახ. მეტალურგიულ ქარხანაში.

1952-1955 წლებში სწავლობდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში.

1955-1965 წლებში მსახურობდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში.

1960-1966 წლებში სწავლობდა და დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი.

1965-1988 წლებში მსახურობდა სამხედრო იუსტიციის ორგანოებში.

1967 წელს დამთავრა საკავშირო პროკურატურის ორგანოთა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საგამომძიებლო მუშაკთა დახმარების ინსტიტუტი ქ.ლენინგრადში.

1974 წელს დამთავრა საკავშირო პროკურატურის ხელმძღვანელ მუშაკთა უმაღლესი კურსები ქ.მოსკოვში.

1975-1988 წლებში მსახურობდა თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორად. ამ პროკურატურის ისტორიაში იყო პირველი ქართველი ეროვნების სამხედრო პროკურორი, რომელიც იყო დანიშნული თანამდებობაზე 3 ვადით (1975, 1980 და 1985 წწ.). 1988 წელს გავიდა თადარიგში წლოვანებით (55 წ.).

1989 წელს დაინიშნა გენერალური პროკურორის თანაშემწედ განსაკუთრებულ დაგალებათა დარგში.

1989-1990 წლებში მუშაობდა მარნეულის რაიონის პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თენგიზ სიგუას № 107 დადგენილებით 1991 წლის 15 თებერვალს დაინიშნა მუდმივი გაერთიანებული სამხედრო საბჭოს სამხედრო სპეციალისტ-ექსპერტად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 9 აპრილის რეკომენდაციით, 1991 წლის 29 მაისს დაინიშნა გენერალური პროკურორის მოადგილედ - შინაგან ჯარებში - ეროვნულ გვარდიაში კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსად (ფაქტიურად მთავარ სამხედრო პროკურორად) და დამტკიცდა გენერალური პროკურატურის კოლეგის წევრად.

1991-1994 წნ. მუშაობდა გენერალურ პროკურატურაში საგამოძიებო სამმართველოს შს ორგანოებში მოკვლევაზე, გამოძიებაზე და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილედ.

დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ (03.03.1987) ორდენით - „კანონიერების გამტკიცების და დამნაშავეობასთან ბრძლაში გამოჩენილი დოდი დამსახურებისათვის“ და 10 მედლით. 38 ჯერაა წახალისებული ზემდგომი ორგანოების მიერ.

1988 წლის 1 თებერვალს სსრკ პროკურატურის ორგანოებში სანგრძლივი და უმნიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოვდა „პროკურატურის საპატიო მუშაკის,, სამკერდე ნიშნით.

კანონიერების განსამტკიცებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1988 წლის 11 ნოემბერს მიანიჭა მას „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის, გ.ტყე-მალაძის 2022 წლის 9 აგვისტოს №399 გადაწყვეტილებით სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VII-ე ქუჩას მიენიჭა იუსტიციის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის სახელი.

სიმონ კანდელაკის ქ. №8 სახლს, სადაც ცხოვრობდა იუსტიციის პოლკოვნიკი ჯემალ გოგიტიძე, 2023 წლის 21 ივნისს გაუკეთდა მემორიალური დაფა.

ამ სახლში 1977-1996 წლებში  
ცხოვრობდა საქართველოს  
დამსახურებული იურისტი  
იუსტიციის პოლკოვნიკი  
ჯემალ გოგიტიძე

## **შესავალი**

**ძვირფასო მკითხველო!**

თქვენს წინაშეა პიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლები“,

ნაშრომში განხილულია საქართველოს სსრ იუსტიციის სხვადასხვა კლასის სახელმწიფო მრჩევლის 43 პერსონალია (1943-1991) და დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის (1992 წლიდან დღემდე) 57 პერსონალია. მათ შორის ეს წოდება მიენიჭა 1 ქალბატონს. სულ 100 პერსონალიაა.

ეროვნების მიხედვით ეს წოდება ჰქონდათ მინიჭებული:

92 ქართველს, 3 აფხაზს, 1 ებრაელს, 1 რუსს, 1 სომებს, 1 ბერძენს, 1 ოსა.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და პროფესიონალი მკვლევარებისთვის.

**ავტორები**



|

(1943-1991)



ივანე ნარიკის-ძე რაჭავა\*\*  
(08.11.1902-02.08.1970)

იუსტიციის მი-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (13.10.1944)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის სოფელ კორცხელში.

1944-1951 წწ.მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მო-  
ადგილედ.

1951-1953წწ. რეპრესირებული იყო ე.წ. „მეგრელთა საქმეზე“.  
დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1945).

---

\* \* სტალინური რეპრესიების აქტიური ორგანიზატორის, გენერალ-ლეიტენანტ ავქსენტი რაჭავას (1899-1955) უმცროსი ძმაა.

**სარდიონ პორფილეს-ძე ჯანჯღავა  
(24.12.1907-24.12.1957)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (16.11.1943) \***



1938-1947 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მო-  
ადგილედ.

1947-1953 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონ-  
ტროლის მინისტრის მოადგილედ.

დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ ორდენით (1945).

---

\*სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 1943 წლის 16 სექტემბერს  
პროკურატურის ორგანოს თანამშრომლებისთვის დადგინდა საკლასო რანგები.



ვლადიმერ იაკობის-ძე შონია  
(15.02.1898-02.06.1979)

იუსტიციის მი-3 ვლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (1944)

დაიბადა ქ. სოხუმში (სოხუმის ოლქი).

1926-1928 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ასარ იუსტიციის სახალ-  
ხო კომისრად და პროკურორად.

1933-1936 წწ. მუშაობდა ამიერკავკასიის ფედერაციის პროკუ-  
რორის მოადგილედ.

1946-1951 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

1952-1953 წწ. რეპრესირებული იყო ე.წ. „მეგრელთა საქმეზე,,

1953 წელს გათავისუფლდა პატიმრობიდან.

დაჯილდოებული იყო: „ლენინისა,, და „შრომის წითელი დრო-  
შის,, (1945) ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. სოხუმში.

**ივანე სტეფანეს-ძე კვარაცხელია  
(15.03.1908-17.10.1961)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (1945)**



1939-1946 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.



ილარიონ ილარიონის ძე თალახავა  
(1894 - 1974)

იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (1945)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, შორაპნის მაზრის სოფელ ჩი-  
ხაში, გლეხის ოჯახში.

სოფლის დაწყებითი სკოლის შემდეგ სწავლა გააგრძელა ჭია-  
თურის საქალაქო სასწავლებელში.

1914 წელს გაინვიეს მეფის არმიაში, სადაც 1917 წლამდე მსა-  
ხურობდა.

1918 წელს მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს წი-  
ნააღმდეგ ბოლშევიკების მიერ მოწყობილ შეიარაღებულ გამოსვ-  
ლაში საჩხერეში.

1918-1919 წლებში დაპატიმრებული იყო.

1920-1921 წლებში იყო დაღესტნის ასარ საგანგებო კომიტეტის  
თავმჯდომარე.

1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-  
ბის შემდეგ, დაბრუნდა სამშობლოში, სადაც დაინიშნა სამხედრო-  
რევოლუციური ტრიბუნალის თავმჯდომარედ.

1921-1922 წლებში სამხედრო-საზღვაო შტაბის კომისარია.

1922-1924 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომის-  
რის მოადგილედ.

ტალახაძის მუშაობა საქართველოში სახვადასხვა პასუხსაგებ  
თანამდებობაზე შეფასებულია უარყოფითად. აქტიურად იბრძოდა  
1924 წელს საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული აჯანყების  
ჩასახმობად.

1924-1936 წწ. მუშაობდა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ და სამართლის ინსტიტუტის დირექტორად.

1936-1946 წწ. საქართველოს სსრ პროკურორია.

1946-1974 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად, ხოლო მოგვიანებით სახელმწიფო სამართლის თეორიის კათედრის გამგედ.

1937 წლის შინსახომ-ის № 00447 ბრძანების თანახმად, იგი შედიოდა ე.ნ. „სამეცნიერო“ და წარმოადგენდა საქართველოს სსრ-ში მომხდარი დიდი წმენდის ერთ-ერთ მთავარ მონაწილეს.

დაჯილდოებული იყო: „წითელი დროშის,, „შრომის წითელი დროშის,, (1945), „წითელი ვარსკვლავის,, (1941) და „საპატიო ნიშნის,, ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



პორის ზაქარიას ძე ჭურველვანიძე  
(10.07.1901-10.06.1984)

იუსტიციის მი-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (1947)

დაიბადა ქ. ქუთაისში.

დაამთავრა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკის ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება 1927 წელს.

1945-1947 წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

1947-1951 წწ. იყო საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილე.

1951-1954 წწ. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

1964-1983 წწ. სისხლის სამართლის კათედრის გამგეა.

1983-1984 წწ. სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგეა.

გამოქვეყნებული შრომები: "პიროვნების ღირსებისა და პატივის დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში" (1949), "დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ" (1960) და სხვა. იყო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტი; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1961), პროფესორი (1962). საქართველოს „მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე“ (1967).

დაჯოლდოებულია „შრომის წითელი დროშის“, და „საპატიო ნიშნის“, ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.

**ალექსანდრე ირაკლის-ძე ლომიაძე  
(16.01.1912-30.05.1992)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მჩხვალი (16.07.1947)**



დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ  
ცხემლისხიდში.

1941-1945 წწ. მონაწილეობდა სსრკ-ს დიდ სამამულო ომში.

1947-1953 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მო-  
ადგილედ.

1953-1956 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ასარ პროკურორად.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისატის საპატიო წოდება“ (10.04.1976)

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



გიორგი ყარამანის-ძე ლომიძე  
(1899 - 1977)

იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (1951)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის სოფელ ლიჩში,  
გლეხის ოჯახში.

1911 წელს დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა.

1917 წლიდან 1929 წლამდე - მუშაობდა დაწყებითი სკოლის პე-  
დაგოგად.

1919 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური კურსები და  
მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება.

1920-1921 წლებში მსახურობდა ჯარში, შემდეგ სხვადასხვა  
პარტიულ სამუშაოზეა. 1938-1941 წლებში საქართველოს სსრ უზე-  
ნაესი სასამართლოს წევრია.

1941-1942 წლებში - ამიერკავკასიის რკინიგზის სამხედრო  
ტრიბუნალის თავმჯდომარეა;

1942 წლიდან - 1949 წლამდე - ამიერკავკასიის რკინიგზის  
პროკურორია.

1949-1951 წლებში და 1957-1959 წლებში, ორჯერ აირჩიეს უზე-  
ნაესი სასამართლოს თავმჯდომარედ:

1951-1953 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

1953 -1954 წწ. საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მო-  
ადგილეა. 1955 წლიდან კი იუსტიციის მინისტრი.

დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის,, ორდენით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



გალვა ესტატეს-ქა მანჯავიძე  
(25.01.1916-04.12.1980)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (12.12.1951)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის სილნალის მაზრის სოფელ  
ანაგაში.

1941-1945 წწ. იყო სსრკ-ის დიდი სამამულო ომის მონაწილე.

1951-1956 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მო-  
ადგილედ.

მინიჭებული პქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისტის“ საპატიო წოდება (1976).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



დავით ყარამანის-ძე ესაკია  
(25.01.1909-26.03.1976)

იუსტიციის მი-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (29.04.1953)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის სოფელ ნაესა-  
კიოში.

1941-1945 წწ. იყო სსრკ-ის დიდი სამამულო ომის მონაწილე.

1948-1953 წწ. მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის  
ჯარების სამხედრო პროკურორად.

1953-1954 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

გარდაიცვალა ქ. თბილისში.

**ანდრო იოსეპის-ძე გიგაური  
(18.03.1902-12.07.1972)**



დაიბადა ტფილისის გუბერნიის, დუშეთის მაზრის სოფელ სტე-ფანწმინდაში.

1951 წლამდე მუშაობდა თელავის რაიონის პროკურორად.

1951-1953 წწ. მუშაობდა თბილისის პროკურორად.

1953-1962 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მო-ადგილედ.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისატის“ საპატიო წოდება (29.11.1967).

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით (1945).

გარდაიცვალა ქ. თბილისში.



ვახტანგ არსენის-ძე ყურაშვილი  
(25.12.1918- ?)

იუსტიციის მი-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (10.02.1958)

დაიბადა ქ.ქუთაისში.

1941-1945 წწ. იყო სსრკ-ის დიდი სამამულო ომის მონაწილე.

1947-1948 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

1952-1953 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ მოადგილედ.

**მიხეილ ესტატეს-ძე თოვლიძე**  
**(07.11.1904-25.02.1982)**

**იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მჩქევალი (01.03.1958)**



დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრის სოფელ ქვიშან-ჭალაში.

1935-1939 წწ. მუშაობდა მოსკოვის ოლქის მთავარი არბიტრის მოადგილედ.

1939-1941 წწ. მუშაობდა მოსკოვის ოლქის მთავარ არბიტრად.

1949-1953 წწ. მუშაობდა სსრკ სახელმწიფო არბიტრად.

1953-1954 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონ-ტროლის მინისტრად.

1954-1961 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

1961-1972 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ სოცუზრუნველ-ყოფის მინისტრად.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისატის“ საპატიო წოდება (18.02.1960)

გარდაიცვალა ქ. თბილისში.



პავლე ეპიფანეს-ძე გერძენიშვილი  
(10.07.1912-11.03.1988)

იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (17.07.1961)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ფარცხმაში.

1941-1945 წწ. იყო სსრკ-ის დიდი სამამულო ომის მონაწილე.

1938 -1961 წწ. მუშაობდა გამომძიებლად, პროკურორად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორის მოადგილედ.

მინიჭებული პქონდა იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1961-1970 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

1970-1979 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგედ.

მინიჭებული პქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (20.02.1966).

დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის,, და „სამამულო ომის,, II (1985) ხარისხის ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.

**3ლადიგერ მატვეის-ძე არავიშვილი  
(12.10.1921-1977)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მჩქვენელი (17.03.1962)**



დაიბადა რსფსრ-ის კურსკის ოლქის ქ. რილსკში.

1939 წელს განვიზულ იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში თბილისის ლ. ბერიას სახელობის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ.

1941-1945 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, კერძოდ კალინინის ფრონტის მე-4 დამრტყმელ არმიაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა

„ნითელი ვარსკვლავის“ ორდენით (1944) და მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ (1943).

ომის დამთავრების შემდეგ დაპრუნდა ქ. თბილისში. დაამთავრა თბილისის ი.სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

მუშაობდა გამომძიებლად ქ. რუსთავის პროკურატურაში, თბილისის ოლქის პროკურატურაში, კალინინის რაიონის პროკურატურაში, რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწედ სპეცგანცოფილებების დარგში, კომპარტიის თბილისის კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განცოფილების ინსტრუქტორად, თბილისის ლენინის რაიონის პროკურორად.

1962-1970 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ გენერალური პროკურორის მოადგილედ.

1971 წელს გავიდა პენსიაში ავადმყოფობის გამო.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისტის“ საპატიო წოდება (1971).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.

**პავალ სპეციალის-ძე გაჯელიძე**  
(20.05.1926-15.06.1997)  
იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (14.07.1964)



დაიბადა აჭარის ასსრ, ქობულეთის რაიონის სოფელ ზუცუბანში.  
1953-1959 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრად.  
1959-1962 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ პროკურორის მოადგილედ.  
1962-1974 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ პროკურორად.  
19974-1991 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრად.  
გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. ქობულეთში.



გრიგოლ (გიგი) ვასილის-ძე როინიშვილი  
(25.06.1928-03.06.2002)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (13.06.1967)

დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ ერკეთში.

1963 წლამდე მუშაობდა აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და საქართველოს პროკურატურის აპარატში.

1963 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის პროკურორად.

1963-1967 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილედ,

1967-1970 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.

1970 წლიდან და სიცოცხლის ბოლომდე დაკავებული იყო საადვოკატო პრაქტიკით, მუშაობდა ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგედ.

1973-1991 წწ. იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (16.11.1982)

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.

**მიხეილ იასონის-ძე ნალირაძე**  
(06.10.1920-06.01.2002)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (16.06.1967)



დაიბადა ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ თილვაში.  
1941-1945 წწ. იყო სსრკ-ის დიდი სამამულო ომის მონაწილე.  
1951-1955 წწ. მუშაობდა ქ. სტალინირის პროკურორად, შემდეგ  
ზნაურის რაიონის პროკურორად.  
1955-1962 წწ. მუშაობდა ზნაურის რაიკომის მე-2 მდივნად.  
1962-1968 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-  
ქის პროკურორად.  
1972-1981 წწ. მუშაობდა ახალციხის რაიონის პროკურორად.  
გარდაიცვალა ქ. თბილისში.



ზაქარია როსტომის-ძე გასიშვილი  
(21.05.1913-11.08.1988)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (10.12.1969)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ქურთაში.  
დაამთავრა ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტი.

1959 წლამდე მუშაობდა ქარელის და ბორჯომის რაიონების პროკურორად, ქუთაისის ოლქის პროკურორის მოადგილედ.

1959-1968 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსად და საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსად.

1968-1974 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორად.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (29.11.1967)

დაჯილდოებული იყო „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



გრიგოლ სიმონის-ძე გიგა  
(17.04.1909-17.12.1981)

იუსტიციის მთავრის სახელმწიფო  
მრჩეველი (20.04.1970)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის სოფელ ცხრუკ-  
ვეთში.

1947 წლამდე მუშაობდა სამოქალაქო-სასამართლო განყოფი-  
ლების უფროსად რესპუბლიკის პროკურატურაში.

1947-1949 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ პროკურორად.

1949-1951 წწ. მუშაობდა თბილისის პროკურორად.

1951-1953 წწ. მუშაობდა თბილისის ოლქის პროკურორად.

1953-1974 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ  
მოადგილედ.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს დამსახურებული იურის-  
ტის“ საბატიო წოდება (12.05.1966) და დაჯილდოებული იყო „საპა-  
ტიო ნიშნის“ ორდენით (1945).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



არონ ერმილეს-ძე ტაკიძე  
(22.12.1907-03.08.1976)

იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (20.04.1970)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჯუმათში.

1941-1945 წწ. მუშაობდა ბათუმის რაიონის სასამართლოს თავ-მჯდომარედ, ბათუმის პროკურორად.

1945-1951 წწ. მუშაობდა აჭარის ასსრ სახალხო კომისრად, 1946 წლიდან იუსტიციის მინისტრად.

1951-1959 წ. მუშაობდა აჭარის ასსრ პროკურორად.

1961-1970 წწ. მუშაობდა თბილისის პროკურორად.

1970-1976 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (12.05.1966).

დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ (1966) და „შრომის წითელი დროშის“ (1971) ორდენებით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



ვალერიან ალექსანდრეს-ძე  
ედიშვილაშვილი  
(03.04.1924 - 1990)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (17.03.1972)

დაიბადა ქ.ტფილისში. (1936 წ. - ქ. თბილისი, ავტ. შენიშვნა).  
1951 წელს დაამთავრა ი. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1952-1963წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეპარატორი, ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი;

1963-1968 წწ. მოღვაწეობდა მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც ეკავა დეკანის თანამდებობა.

1970-1978 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ მოადგილედ, კადრების უფროსად, იყო კოლეგის წევრი; თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი;

1978-1990 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და 1-ლ მოადგილედ.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (07.05.1984) და მოსამართლის I-ი კლასის კატეგორია.



ოთარ ალექსანდრეს-ძე ჯიგლაპე  
(23.11.1927 - 08.11.1993)

იუსტიციის მი-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (17.03.1972)

დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ სამებაში.

1970 წლამდე მუშაობდა უფროს იურისკონსულტად, ორჯერ იქნა არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

1970-1974 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მო-  
ადგილედ.

მინიჭებული პქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (1978) და მოსამართლის I-ი კლასის კატეგორია (1967).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.

გოდარძი გრიგოლის-ძე პორჩეახა  
(დ.19.08.1939)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (20.10.1974)



დაიბადა ქ.მახარაძეში (ახლ. ქ. ოზურგეთია).

1962 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1962-1974 წწ. მუშაობდა გამომძიებლად, რაიონული პროკუ-  
რორის თანაშემწედ, რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილე-  
ბის უფროსად, პარტიის ცეკვას ადმინისტრაციული განყოფილების  
ინსტრუქტორად, რესპუბლიკის პროკურორის 1-ლ მოადგილედ.

1974-1984 წწ. მუშაობდა აჭარის ასარ პროკურორად.

1984-1991 წწ. მუშაობდა აჭარის ასარ უმაღლესი სასამართ-  
ლოს თავმჯდომარედ.

1991-1999 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურორის მოადგილედ.

1999 წლის 20 ივლისს არჩეულ იქნა საქართველოს უმაღლესი  
სასამართლოს წევრად.

მინიჭებული აქვს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურ-  
ისტის“ საპატიო წოდება. (19.08.1989).

დაჯილდოებულია „ლირსების,, ორდენით.



ზაურ მიხეილის-ძე კვირკველია  
(დ.15.09.1936)

იუსტიციის მინისტრის სახელმწიფო  
მრჩეველი (20.10.1975)

დაიბადა ქ.ბათუმში. (აჭარის ასსრ)

1974 წლამდე მუშაობდა ოჩამჩირეს რაიონული პროკურატურის გამომძიებლად.

1974-1978 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორად, სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო განყოფილების გამომძიებლად., აჭარის ასსრ და ქ.თბილისის პროკურატურების განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად.

1972-1974 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

1974-1978 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორად.

1978-2003 წწ. მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურაში: საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორად, საგამოძიებო სამმართველოს უფროსად, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში გამოძიებისა და ზედამხედველობის განყოფილების უფროსად, საქართველოს პროკურატურის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, საგადასახადო და საბაჟო კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსად.

2002-2003 წწ. მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურის აპარატის უფროსის მოადგილედ.

2003 წელს გავიდა პენსიაზე.

დაჯილდოებულია „შრომითი წარჩინებისთვის,, და „ლირსების,, მედლებით (1997).

**ლერი გერმანეს-ძე თალაკვაძე  
(20.08.1935 - 14.01.1989)**  
**იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მჩქვენები (09.08.1977)**



დაიბადა მახარაძის რაიონის (ახლა ოზურგეთის რაიონი, ავტ. შენიშვნა) სოფელ მთისპირში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, დაამთავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1965-1973 წწ. მუშაობდა შსს სისტემაში საგამოძიებო სამმართველოს უფროსად.

1973-1974 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორად.

1974-1977 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ მოადგილედ.

1977-1978 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

1979-1980 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

1980-1985 წწ. მოღვაწეობდა ბელარუსის სსრ პროკურატურაში სამმართველოს უფროსად.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (25.10.1988). იყო უურნალ „საბჭოთა სამართლის,, მთავარი რედაქტორი.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში.



გევით გუსტავის-ძე არლუნი  
(26.12.1923 - 1992 ნ.შ)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (12.08.1977)

დაიბადა აფხაზეთის ასსრ, გუდაუთას რაიონის სოფელ ანუხვაში.  
1941-1945 წწ. იყო სსრკ დიდი სამამულო ომის მონაწილე.

1954 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანა-  
შემწედ საერთო ზედამხედველობის დარგში, აფხაზეთის ასსრ სა-  
ოლქო კომიტეტის განყოფილების გამგედ.

1954-1957 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრად.

1962-1977 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ასსრ პროკურორად.

1978-1992 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამარ-  
თლოს თავმჯდომარედ.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისტის“ საპატიო წოდება (14.05.1975).

**ვარლამ ნიკოლოზის-ძე ჭილაშვილი  
(01.11.1926 – 06.05.2008)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (04.11.1977)**



დაიბადა ტფილისის მაზრის სოფელ მარტყოფში.

1950-1977 წწ. მუშაობდა საკავშირო შინაგან საქმეთა ხოლო 1954 წლიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში.

1977-1981 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ მოადგილედ.

2000 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მრჩევლად და უფროს კონსულტანტად.



30ქთორ 30ქთორის-ქვ ვარდაია  
(27.06.1932-16.03.1990)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (26.07.1978)

დაიბადა ქ.გალში (აფხაზეთის ასარ).

1974 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ასარ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსტრუქტორად, სახალხო მოსამართლედ ქ.გაგრაში.

1974-1989 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ასარ პროკურორად.

1989 წელს ავადმყოფობის გამო გავიდა პენსიაზე.

მინიჭებული პქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (12.05.1982). არჩეული იყო აფხაზეთის ასარ უმაღლესი საბჭოს დეპუტადად.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.გაგრაში.



3ლადიგერ ეფრემის-ძე იორსელიანი  
(06.08.1927-18.10.1996)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (12.12.1978)

დაიბადა ქ. მოსკოვში.

1978 წლამდე მუშაობდა საკავშირო პროკურატურაში სასა-  
მართლოებებში სისხლის სამართლის საქმეების განხილვის და ზე-  
დამხედველობის სამმართველოს პროკურორად.

1978-1986 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ  
მოადგილედ.

1986 წლიდან გააგრძელა მოღვაწეობა მოსკოვში, საკავშირო  
პროკურატურის ცენტრალურ აპარატში.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისტის“ საპატიო წოდება (12.05.1982).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. მოსკოვში.



ანზორ მიხეილის-ძე გარაშავა  
(07.07.1938-14.07.1985)

იუსტიციის მი-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (11.03.1979)

დაიბადა ქ.თბილისში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო ციმბირში შსს ორგანოებში.

მუშაობდა ახალქალაქის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად, ბოგდანოველის რაიონის პროკურორად.

1970-1973 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურაში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში სისხლის სამართლისა და ზედამხედველობის პროკურორის უფროს თანაშემწედ.

1973-1976 წწ. მუშაობდა ქუთაისის პროკურორად.

1976-1978 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.

1978 წელს გადაიყვანეს საქართველოს სსრ ცეკას აპარატში.

1978-1985 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორად.

დაჯილდოებული იყო „ხალხთა მეგობრობის,, ორდენით (1981) და „სსრკ პროკურატურის საპატიო მუშავის“ სამკერდე ნიშნით (1982).

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (12.05.1982).

სიცოცხლე დასრულა თვითმკვლელობით.



30ქთონ აგიპოს-ძე შარაშვილი  
(17.12.1937-04.10.1993)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მჩხვალი (14.05.1981)

დაიბადა ქ.თბილისში.

1978 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ პროფკავშირების იურიდიული კონსულტაციის გამგედ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორად, პარტიის ცეკას ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების ინსტრუქტორად.

1978-1987 წწ. მუშაობდა მოადგილედ, შემდეგ კი საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ მოადგილედ.


1987-1990 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრად.

1992-1993 წწ. მუშაობდა საქართველოს პარლამენტის აპარატში.

ტრაგიკულად დაიღუპა თბილისში.

იყო მსოფლიოს იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრი (1990).

დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის,, ორდენით (1986).



პეტრე სარდიონის-ძე გამიცოვი  
(02.02.1928 – 18.10.2015)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (18.02.1982)

დაიბადა ქ. ვლადიკავკაზში.

1946 წელს, საშუალო სკოლის 9 კლასის დამთავრების შემდეგ  
ჩააბარა სამთო-მეტალურგიულ ტექნიკუმში.

1947-1954 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიაში.

1952 წელს დაამთავრა ბატაისკის სამხედრო-საავიაციო სას-  
ნავლებელი.

1954 წელს ჯანმრთელობის გამო გავიდა თადარიგში. მუშაობ-  
და ფიზკულტურის პედაგოგად, დაწყებითი სამხედრო მომზადების  
მასწავლებლად საშუალო სკოლების უფროს კლასებში.

1957-1961 წწ. სწავლობდა სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტში.

1961 წლიდან მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ა/ო პროკურატურის  
სისტემაში.

1961-1963 წწ. მუშაობდა სტალინირის რაიონის და ა/ო პროკუ-  
რატურის გამომძიებლად.

1963-1965 წწ. მუშაობდა ქ.ცხინვალის პროკურორად.

1965 წელს მუშაობდა ცხინვალის საქალაქო იურიდიული კონ-  
სულტაციის გამგედ.

1965-1968 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ა/ო სასამართლოს  
წევრად.

1968-1975 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ა/ო სასამართლოს  
თავმჯდომარის მ.შ.

1978-1988 წწ. მუშაობდა სამხრეთ ოსეთის ა/ო პროკურორად.

1992-1994 წწ. მუშაობდა პროექტორის მოადგილედ.

1994 წელს დაინიშნა თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსე-  
თის“ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად.

1995-1996 წწ. მუშაობდა თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსე-  
თის,, რესპუბლიკის სამხედრო პროექტორად.

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისტის“ საპატიო წოდება (24.05.1982).

2000-2014 წწ. დაკავებული იყო პედაგოგიური მოღვაწეობით  
ქ. ცხინვალის უნივერსიტეტში.



31 ათენი აპოლონის-ქარაშვილი  
(05.02.1930 – 28.08.2009)

იუსტიციის მთავარი სახელმწიფო  
მრჩეველი (1992)  
იუსტიციის მი-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (05.12.1985)

დაიბადა რაჭის მაზრის დაბა ამბროლაურში.

დაამთავრა თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1954 წელს.

1955-1956 წწ. მუშაობდა ტყიბულის სტალინის სახ. შახტის კომკავშირის კომიტეტის მდგრად;

1956-1957 წწ. მუშაობდა ტყიბულის სტალინის სახ. შახტის კადრების განყოფილების გამგედ;

1957-1958 წწ. მუშაობდა ტყიბულის რაიკომის ინსტრუქტორად;

1958-1961 წწ. მუშაობდა ტყიბულის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ;

1961-1968 წწ. მუშაობდა ტყიბულის რ-ის და ქ. ტყიბულის პროკურორად;

1968-1969 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორად;

1969-1973 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილედ;

1973-1974 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსად, იყო კოლეგის წევრი;

1974-1980 წწ. ქ. თბილისის პროკურორია;

1980-1982 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ ცეკას ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ;

1982-1988 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ  
მოადგილედ;

1988-1992 წწ. მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკუ-  
რორად; აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის 1-ლ მო-  
ადგილედ;

1999-2004 წწ. იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის  
წევრი, საარჩევნო ბლოკი: "საქართველოს აღორძინება", საარჩევნო  
ფორმა: პარტიული სიით.

დაჯილდოებული იყო:

„სსრკ პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით  
(1986) და „ხალხთა მეგობრობის, ორდენით (1982);

მინიჭებული ჰქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული  
იურისტის“ საპატიო ნოდება (21.05.1981).



რევაზ (სოსო) ბიძამორის-ძე ყიფიანი  
(26.11.1927 – 10.2009)

იუსტიციის მინისტრის სახელმწიფო  
მრჩეველი (05.12.1985)

დაიბადა ქ. ზესტაფიონში.

დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი 1952 წელს.

1952-1953 წწ. იყო ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელის კანდიდატი;

1953-1962 წწ. მუშაობდა ქუთაისის პროკურატურის უფროს გამომძიებლად;

1962-1964 წწ. მუშაობდა საკავშირო პროკურატურის უფროს გამომძიებლად (ქ. მოსკოვში);

1964-1973 წწ. მუშაობდა საქართველოს პროკურატურის გან-საკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად;

1973-1977 წწ. მუშაობდა საქართველოს პროკურორის უფროს თანაშემწედ;

1977-1978 წწ. მუშაობდა საქართველოს პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსად;

1978-1980 წწ. მუშაობდა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსად;

1980-1991 წწ. ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორია;

1991-1997 წწ. საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეა;

1997-1999 წწ. საქართველოს გენერალური პროკურორის 1-ი მოადგილეა;

1999-2004 წწ. იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, სა-არჩევნო ფორმა: მაუორიტარული.

მინიჭებული პქონდა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება (1975). დაჯილდოებულია „ლირსების,, ორდენით (1995).



თამაზ მიხეილის-ძე კოლუა  
(04.01.1949 – 17.05.2009)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (03.06.1987)

დაიბადა ქ. სენაკში.

1973 -1979 წწ. მუშაობდა კრასნოდარის მხარის ლაბინსკის სარაიონო პროკურორის მოადგილედ.

1979 -1980 წწ. მუშაობდა მარნეულის რაიონის პროკურორად.

1980-1985 წწ. მუშაობდა საქართველოს ცეკას ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების გამგის მოადგილედ.

1985-1988 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილედ.

1988-1991 წწ. მუშაობდა ცხაკაიას რაიკომის 1-ლ მდივნად.

1992 წლიდან კვლავ საქართველოს პროკურატურის სისტემაშია.

1992-1995 წწ. მუშაობდა გენერალური პროკურატურის საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების და სამმართველოს უფროსად.

1995-1997 წწ. მუშაობდა სამეცნიერო პროკურორად.

1997-2001 წწ. მუშაობდა გენპროკურორის მოადგილედ.

2001-2004 წწ. მუშაობდა ქ. რუსთავის პროკურორად.

დაჯილდოებულია „ღირსების,, ორდენით და მედლით „შრომითი წარჩინებისთვის,,

**როლანდ ნიკოლოზის-ძე გილიგაშვილი  
(18.03.1952-13.06.2023 )**

იუსტიციის მთავარი სახელმწიფო  
მრჩეველი (14.07.2002)  
იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (29.03.1988)



დაიბადა გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში.

1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1978-1983 წლებში მუშაობდა თბილისის პროკურატურის სასა-მართლობში სისხლის სამართლის საქმეებზე ზედამხედველობისა და საგამოძიებო განყოფილების პროკურორად.

1983-1986 წლებში იყო ქ. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორი.

1986-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ გენპროკურორის მოადგილედ;

1997-1999 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

1999 -2001 წლებში იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლა-მენტის წევრი (გურჯაანის მაჟორიტარი), საარჩევნო ბლოკი „სა-ქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარეა.

2001-2003 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ. თბილისში, საბურთალოს ახალ სასაფლაოზე.



სუბზარ ხვთისოს-ქა მოშიავვილი  
(დ.11.10.1947)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (19.10.1988)

დაიბადა ქ.თბილისში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდი-  
ული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით 1972 წელს.

1966 -1977 წწ. მუშაობდა შსს სისტემაში;

1977-1979 წწ. მუშაობდა თბილისის პროკურატურის უფროს  
გამომძიებლად;

1979-1980 წწ. მუშაობდა თბილისის პროკურორის უფროს თა-  
ნაშემწედ;

1980-1985 წწ. მუშაობდა თბილისის კიროვის რაიონის პროკუ-  
რორად;

1985-1986 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურატურის  
საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ;

1986 წელს გადაყვანილ იქნა პარტიის ცეკაში ადმინისტრაციუ-  
ლი ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ.

1987-1990 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ პროკურორის 1-ლ  
მოადგილედ;

1991-1992 წწ. მუშაობდა ამიერკავკასიის სატრანსპორტო პრო-  
კურორის 1-ლ მოადგილედ;

1992-1995 წწ. მუშაობდა გენპროკურატურაში სამმართველოს  
უფროსად;

1995-2003 წწ. საქართველოს სატრანსპორტო პროკურორია.

2004-2008 წწ. იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: საინიციატივო ჯგუფი, საარჩევნო ფორმა: მაჟორიტარული, მაჟორიტარი №13 სიღნალის საარჩევნო ოლქიდან;

დაჯილდოებულია „ლირსების“, ორდენით (1998).



თამაზ სერგოს-ძე ტულუში  
(დ. 18.09.1940)

იუსტიციის მინისტრის სახელმწიფო  
მრჩეველი (17.01.1989)

დაიბადა ქ. თბილისში.

1963-1980 წწ. მუშაობდა პროკურატურის სისტემაში: გამომძიებლად, უფროს გამომძიებლად, განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად.

1980-1986 წწ.-მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორის მოადგილედ და 1-ლ მოადგილედ.

1986-1990 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის პროკურორად.

1990-1999 წწ. მუშაობდა გენპროკურატურაში განყოფილების უფროსად.

1999-2002 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის რეგიონალურ სატრანსპორტო პროკურორად.

2002-2004 წწ. მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს, იუსტიციისა და სახელმწიფო დაცვის სტრუქტურების სპეცსამსახურების ოპერატორ-სამძებრო ღონისძიებების ზედამხედველობის სამსართველოს უფროსად.

2004 წელს დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს დასავლეთის ზონის სათანადო ქვედანაყოფების სისხლის სამართლებრივი დევნის ზედამხედველობის სამმართველოს განყოფილების უფროსად.

**დიმიტრი სამსონის-ძე ჩიტლოვი**  
**(დ.05.04.1935)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (06.07.1989)**



დაიბადა წალკის რაიონის სოფელ ახალიკში. ეროვნებით ბერძენია.

1961 წელს დაამთავრა სარატოვის იურიდიული ინსტიტუტი ვდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა 1969 წელს.

1961 წლიდან მუშაობდა პროკურატურის სისტემაში;

1962-1963 წწ. და 1965-1972 წწ. მუშაობდა წალკის რაიონის პროკურორად.

1972 წელს მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორად;

1973-1974 წწ. მუშაობდა რესპუბლიკის პროკურორის თანაშემნედ;

1974-1975 წწ. მუშაობდა იქვე კადრების განყოფილების პროკურორად.

1979-1980 წწ. მუშაობდა საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილედ;

1980-1988 წწ. მუშაობდა საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების უფროსად;

1988-1991 წწ. მუშაობდა გენპროკურორის მოადგილედ;

1991-1992 წწ. იყო უზენაესი სასამართლოს წევრი'

1992-1995 წლებში იყო საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტის წევრი (წალკის მაჟორიტარი).

დაჯილდოებულია:

„სასრკ პროცეურატურის საპატიო მუშავის“ სამკერდე ნიშნით (1988) და „ლირსების,, ორდენით.

მინიჭებული აქვს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის,, წოდება (09.10.1987). და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (1969).

ეწევა აქტიურ სამცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. ავტორია მრავალი წიგნისა და სამეცნიერო სტატიისა.

**ააოლონ კონსტანტინეს-ძე კვიცინია  
(დ.29.07.1943)**

**იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მჩქვენები (25.10.1990)**



დაიბადა ოჩამჩირეს რაიონის სოფელ ატარაში (აფხაზეთის ასსრ).

1969 წელს დაამთავრა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1975 წელს შსს აკადემია.

1969-1971 წწ. მუშაობდა აფხაზეთის შსს გამომძიებლად.

1971-1975 წწ. მუშაობდა საქართველოს ასსრ შსს განყოფილების უფროსად.

1977-1981 წწ. მუშაობდა საქართველოს ცეკას ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ.

1981-1989 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილედ.

1989-1992 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ა/რ პროკურორად.

1992 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ.მოსკოვში. კითხულობს ლექციებს მოსკოვის შსს უნივერსიტეტში.

1979 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „, მექრთამეობა და მასთან ბრძოლა,, , ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „, თანამდებობრივი დანაშაულების პასუხისმგებლობის პრობლემები,,.

ავტორია 3 მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა.

მინიჭებული აქვს „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის,, წოდება (1990).



რამაზ სერგოს-ძე გლეხი  
(დ.17.03.1950)

იუსტიციის მინისტრის სახელმწიფო  
მრჩეველი (26.10.1990)

დაიბადა აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელ მილისში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტი 1971 წელს.

1975 წლიდან მუშაობდა ქედის რაიონის პროკურატურაში სტა-  
ჟიორად;

1975-1976 წწ. მუშაობდა ქედის რაიონის პროკურატურაში გა-  
მომძიებლად;

1976-1978 წწ. მუშაობდა ქედის რაიონული სასამართლოს თავ-  
მჯდომარედ;

1980-1987 წწ. იყო ქ.ბათუმის პროკურორი;

1987-1989 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურორის მოადგი-  
ლედ;

1989-1992 წწ. იყო აჭარის ა/რ პროკურორი;

1992-1994 წწ. მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში სა-  
გამოძიებო სამმართველოს უფროსად;

1994-2004 წწ. მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში მოკ-  
ვლევისა და გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამ-  
მართველოს უფროსად;

2004 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის სისხლის  
სამართლერივი დევნისა და კანონიერებაზე ზედამხედველობის  
სამმართველოს უფროსია;

2004-2005 წწ. საქართველოს მთავარი პროკურატურის სისხლის სამართლებრივი დევნისა და კანონიერებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსია;

2005 წელს საქართველოს მთავარ პროკურატურაში შსს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსია;

2005-2008 წწ. საქართველოს მთავარ პროკურატურაში შს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსია.

1982 წელს მიენიჭა I კლასის იურისტის წოდება,

იყო აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი (1978-1980) და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (2009-2013).

დაჯილდოებულია „ლირსების,, ორდენით (2000).



ვახტანგ ლევანის-ძე გვარაშვი  
(დ.07.11.1939)

იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი (19.12.1991)

დაიბადა ქ. ფოთში.

1957 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ფოთის საშუალო სკოლა, ხოლო 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იური-დიული ფაკულტეტი.

მუშაობდა ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურის იურისკონსულტად (1962-1963).

1963 წლის აგვისტოდან 1990 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და გაიარა სამსახურებრივი იერარქიის თითქმის ყველა საფეხური ქ. ფოთის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების გამომ-ძიებლის თანამდებობიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტ-როს საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილემდე.

1990 წელს დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურო-რის 1-ლ მოადგილედ.

1991 წელს მიენიჭა იუსტიციის მე-3 კლასის სახელმწიფო მრჩევლის უმაღლესი სპეციალური წოდება. ამრიგად ის უკანასკ-ნელია საბჭოთა კავშირში ამ წოდების მქონე ქართველთა შორის. (ავტ. შენიშვნა).

1994-1999 წლებში იყო იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ხო-ლო 1999 - 2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

2003 წლის 23 ივნისს არჩეულ იქნა საქართველოს საკონსტი-ტუციო სასამართლოს წევრად და 2003 წლის 23 სექტემბერს და-ეწყო უფლებამოსილება.

2004 წელს მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსა-მართლის წოდება საქართველოს პრეზიდენტის მიერ.



II

(1992 წლიდან)



აკაკი ალექსანდრეს-ძე გუბალაშვილი  
(დ.01.01.1947)

იუსტიციის მთავრობის სახელმწიფო  
მრჩეველი (15.07.1992)

დაიბადა ქ.თბილისში.

პროკურატურის სისტემაში მოვიდა იუსტიციის სამინისტროდან.

სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილებას, მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის მოადგილედ, საგამოძიებო ნაწილის და სამართველოს უფროსად.

1989-1992 წწ. მუშაობდა სილნალის პროკურორად.

1992-1999 წწ. მუშაობდა თბილისის ისნის და ნაძალადევის რაიონების პროკურორად.

1999-2002 წწ. მუშაობდა თბილისის პროკურორის მოადგილედ.

2002-2004 წწ. მუშაობდა რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად.

დაჯილდოებულია „ლირსების,, ორდენით.

**მიხეილ ზაქარიას-ძე ეურდაძე  
(10.04.1937-10.03.1993)**

**იუსტიციის სახალხონიშვილ მრჩევალი  
(02.09.1992)**



დაიბადა ხაშურის რაიონის დაბა სურამში.

საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 1964 წლიდან.

1979-1985 წწ. მუშაობდა ქ.რუსთავის პროკურორად.

1985-1990 წლებში მუშაობდა გენპროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად, თბილისის პროკურორის მოადგილედ.

1990 წელს დაინიშნა თბილისის პროკურორად. ამავდროულად, მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრაზე; იყო 4 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოს (თანაავტორობით), 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიცისტური სტატიის ავტორი. იყო იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (1974) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (1988), პროფესორი (1992).

დაჯილდოებული იყო „სარკ პროკურატურის საპატიო თანამშრომლის, სამკერდე ნიშნით (1982).

1993 წლის 10 მარტს, ქ. თბილისში, მ. კოსტავას ქუჩაზე, საკუთარი სახლის წინ, ქურდაძე მოკლეს რამდენიმე გასროლით.

2002 წელს ქურდაძის მკვლელობის საქმეში დამნაშავედ სცნეს დაქირავებული მკვლელი კობა გურგენიძე, თუმცა შემკვეთი არ დასახელებულა.



ანზორ შოთას-ძე ლაცუზბაია  
(დ.14.05.1948)

იუსტიციის სახელმიწოდებლის  
(14.06.1993)

დაიბადა აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ ოქუმში.

1981 წლამდე მუშაობდა აფხაზეთის ასსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროს გამომძიებლად და პროკურორად.

1981-1986 წწ. მუშაობდა გენპროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა უფროს გამომძიებლად;

1986-1993 წწ. მუშაობდა საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების უფროსად. იყო კოლეგიის წევრი.

1993-2003 წწ. მუშაობდა აფხაზეთის ა/რ პროკურორად.

2003-2004 წწ. მუშაობდა გენპროკურატურაში - სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

2004 წლიდან მუშაობდა მარნეულის რაიონის პროკურორად.

დაჯილდოებულია „ლირსების“, ორდენით (1997).

**თემო (თევდორე) გიორგის-ძე ნინიძე  
(დ.02.01.1950)**

**იუსტიციის მთავარი სახელმწიფო  
მჩხვალი (12.05.1993)**



დაიბადა მახარაძის რაიონის (ახალ ოზურგეთის რაიონის) სო-  
ფელ ასკანაში.

1966 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა ასკანის საშუა-  
ლო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1971 წელს დაამთავრა.

1971–1975 წლებში სწავლობდა ჯერ საქართველოს მეცნიერე-  
ბათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის, შემდეგ  
კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სა-  
მართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1975 წელს სამოქა-  
ლაქო სამართალში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ამავე პერიოდში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკა-  
დემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ჯერ უმცროს,  
შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. პარალელურად სწავ-  
ლობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების პე-  
დაგოგიურ ინსტიტუტში გერმანული ენისა და ლიტერატურის ფა-  
კულტეტზე.

1978–1984 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცე-  
კაში ადმინისტრაციულ ორგანოთა განყოფილების ინსტრუქტორის  
თანამდებობაზე.

1984–1988 წლებში იყო საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტ-  
რის მოადგილე.

1988 წელს საქართველოს იურისტთა კავშირმა აირჩია უურნალ „სამართლის“ მთავარ რედაქტორად, სადაც იმუშავა 1992 წლამდე.

1990-1991 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი საარჩევნო ბლოკი „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიიდან“, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

1991-1992 წლებში აირჩიეს სახელმწიფო საბჭოში იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ.

1992-1993 წლებში იყო საქართველოს გენერალური პროკურორი.

1993-1995 წლებში იყო საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი და მონაწილეობას იღებდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის შემუშავებაში.

1993-1998 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო 1998-2003 წლებში კი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2003 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, არის სრული პროფესორი.

**ოთარ გერიძე  
(დ.02.10.1951)**

**იუსტიციის სახალხონიშვილო მრჩეველი  
(03.05.1994)**



დაიბადა ქ. სოხუმში (აფხაზეთის ასსრ).

1981 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

მუშაობდა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში, აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგედ, აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მი-ნისტრის მოადგილედ.

1992 წლის მაისიდან იყო აფხაზეთის ა/რ იუსტიციის მინისტრი.

1999 წელს მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსა-მართლის საკლასო ჩინი.

1996 წლის 2 ივლისს დაინიშნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად.

1996 წლის 15 აგვისტოს აირჩიეს საქართველოს საკონსტიტუ-ციონ სასამართლოს მდივნად.

1996-2004 წწ. არჩეული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ და საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგის თავმჯდომარედ.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მი-ენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლა-სო რანგი.



ტარიელ ნიკოლოზის-ძე კულულაშვილი  
(დ.08.09.1947)

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(03.05.1994)

დაიბადა გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში.  
მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1-ლი მოად-  
გილედ.  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია (1982).

2003-2004 წწ. საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის რეგიონში;

22.04.2004 - 07.05.2004 იყო საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: "სააკაშვილი - ნაციონალური მოძრაობა", საარჩევნო ფორმა: მაუორიტარული, მაუორიტარი 32 გორის საარჩევნო ოლქიდან, შეუწყდა დეპუტატობა სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გამო;

2004 წელს მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურორად და შინაგან საქმეთა მინისტრად; 2004-2006 წწ. თავდაცვის მინისტრია;

2006 წლის 10 ნოემბერს, მთავრობაში ცვლილებების შედეგად, ირაკლი ოქრუაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტი დატოვა

და ეკონომიკური განვითარების მინისტრი გახდა. პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით, ეს გადაადგილება „განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ოუსეთის მთავარი სამიზნე საქართველოს ეკონომიკაზე შეტევაა“. ზოგიერთმა ოპოზიციურმა ძალამ და პოლიტოლოგმა კი ოქრუაშვილის გადაყენება მის მიერ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე კონტროლის აღდგენის ვადების თაობაზე კატეგორიულ განცხადებებს დაუკავშირა. 1 კვირის შემდეგ, 17 ნოემბერს, ოქრუაშვილმა ეკონომიკური განვითარების მინისტრის თანამდებობა თავისი სურვილით დატოვა.

2007 წლის 25 სექტემბერს ოქრუაშვილმა პრეზიდენტი სააკაშვილი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებსა და მკვლელობების შეკვეთებში დაადანაშაულა.

2 დღის შემდეგ ის მის მიერ შექმნილი პარტიის – „ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისში დააკავეს. ექს-მინისტრს თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ფულის გამოძალვასა და სამსახურეობრივ გულგრილობაში დასდეს ბრალი

2007 წელს იძულებით იქნა დეპორტირებული საქართველოდან და ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი. 2012 წლის 20 ნოემბერს დაბრუნდა საქართველოში და დაპატიმრებული იქნა, რის შემდეგაც გადაყვანილი იქნა გლდანის ციხეში.

2013 წელს ირაკლი ოქრუაშვილი სცნეს პოლიტიკურ დევნილად, სასამართლომ ყველა ბრალდება მოუხსნა და გაათავისუფლა.



თამაზ გილიოვის-ძე გარაპავი  
(დ. 18.12.1950)

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(22.01.2004)

დაიბადა ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში.

1967 წელს დაამთავრა მათხოჯის საშუალო სკოლა, 1975 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიდა ასპირანტურა 1983 წელს.

1988-1991 წწ. მუშაობდა საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის 1-ლ მოადგილედ.

1991-1999 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ.

1999-2001 წწ. მუშაობდა ქ. რუსთავის სასამართლოს მოსამართლედ, შემდეგ თავმჯდომარედ.

2001-2004 წწ. მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილედ, უფროსად.

2004 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად.

**კახაგარ არჩილის-ძე გარათაშვილი  
(დ.10.07.1972)**

**იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(22.01.2004)**



დაიბადა ქ.თბილისში.

1990 წელს დაამთავრა ქ. თბილისის №189 საშუალო სკოლა და  
1996 წელს ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

1997-1999 წწ. მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს კერძო სა-  
მართლის სამმართველოს უფროს კონსულტანტად.

1999 წელს მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის რეფერენტად.

1999-2000 წწ. მუშაობდა იუსტიციის სამინისტროს დეპარტა-  
მენტის უფროსის მოადგილედ.

2000-2001 წწ. მუშაობდა ეკონომიკური მრეწველობის და ვაჭ-  
რობის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსად.

2001-2004 წწ. მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის ადმინის-  
ტრაციის სამსახურის უფროსად.

2004 წელს დაინიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამსახუ-  
რის უფროსად.



დავით ომარის-ძე კარასელიძე  
(დ.23.01.1972)

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(22.01.2004)

დაიბადა ქ.თბილისში.

1989 წელს დაამთავრა ქ. თბილისის №161 საშუალო სკოლა,  
1994 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ.სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ასპირანტურა  
2000 წელს.

1994-1998 წწ. მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტ-  
როში: მთავარ კონსულტანტად, განყოფილების უფროსად, სახელ-  
მწიფო კომისიის წევრად, მთავარ მრჩევლად.

1998-2001 წწ. მუშაობდა პარლამენტის თავმჯდომარის მოად-  
გილის თანაშემწედ იურიდიულ საკითხებში, 1-ლ თანაშემწედ-აპა-  
რატის უფროსად.

2001-2004 წწ. მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის სამსახუ-  
რის უფროსად, მოადგილედ, უფროსად.

2004 წლიდან მუშაობდა საქართველოს მთავრობის იურიდიუ-  
ლი დეპარტამენტის უფროსად და პრემიერ-მინისტრის მრჩევლად.

**როლანდ ახალაია  
(დ.01.04.1950)**

**იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(21.06.2004)**



დაიბადა ხობის რაიონის სოფელი საჯივაოში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდი-  
ული ფაკულტეტი 1978 წელს.

1978-2012 წწ. მუშაობდა პროკურატურის სისტემაში.

1978-1979 წწ. იყო ლანჩხუთის რაიონის როკურატურის სტა-  
ჟიორი;

1981-2001 წწ. მუშაობდა ზუგდიდის რაიონის პროკურატურა-  
ში, პროკურორის მოადგილედ, პროკურორად;

2001-2004 წწ. მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, მთავარი  
სამმართველოს მრჩევლად, სამმართველოს უფროსად, გენინსპექ-  
ციის უფროსის მოადგილედ, მრჩევლად;

2004-2008 წწ. მუშაობდა მთავარ პროკურატურაში, სამეგრე-  
ლო-ზემო სვანეთის პროკურორად;

2008-2012 წწ. მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში, სამეგრე-  
ლო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად.

საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის მაულიტარი დე-  
პუტატი N67 ზუგდიდის საარჩევნო ოლქიდან, "ერთიანი ნაციონ-  
ალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს", დიასპორისა და კავკა-  
სის საქმეთა კომიტეტის წევრი (2012-2016).

დაჯილდოებულია „ბრწყინვალების,, საპრეზიდენტო ორდე-  
ნით და „ღირსების,, ორდენით.



ალექსანდრე ტაგაფაძე  
(დ.05.05.1969)

იუსტიციის მთავარი სახელმწიფო  
მრჩეველი (2014)  
სახელმწიფო უსაფრთხოების  
განერალ-ლეიტენანტი (2016)

დაიბადა ქ.თბილისში.

დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი 1997 წელს.

1991-1992 წწ. შსს ოპერატიული სამმართველოს მე-2 განყო-  
ფილების მე-2 ქვეგანყოფილების ინსპექტორია;

1992-1993 წწ. შსს მე-6 სამმართველოს მე-4 განყოფილების  
ინსპექტორია;

1993-1994 წწ. შსს მე-6 სამმართველოს მე-3 განყოფილების  
მე-2 ქვეგანყოფილების ინსპექტორია;

1994-1995 წწ. შსს მე-6 დამოუკიდებელი მთავარი  
სამმართველოს მე-2 სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსი  
ინსპექტორია;

1995-1996 წწ. შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის  
ორგანიზებულ დანაშაულთან დაკორუფციასთან ბრძოლის მთავარი  
სამმართველოს საორგანიზაციო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან  
ურთიერთობის სამმართველოს, სახელმწიფო თაშორისო კავში-  
რების მქონე ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფი-  
ლების უფროსი ინსპექტორია;

1996 წელს ქ. რუსთავის შს სამმართველოს კრიმინალური  
პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების  
უფროსის მოადგილეა;

1996-1997 წწ. ქ. რუსთავის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსია;

1997 წელს ქ. თბილისის შსს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და სს სამძებრო სამსახურის უფროსის მოადგილეა;

1997-2000 წწ. ქ. თბილისის საბურთალოს შს სამმართველოს უფროსია;

2000-2001 წწ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს უფროსია;

2001 წელს შსს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა;

2001-2004 წწ. შსს ნარკმანისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსია;

2004-2006 წწ. შსს აკადემიის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კათედრის უფროსია;

2006 წელს შსს აჭარის ა/რ. შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი გამომძიებელია;

2006-2007 წწ. შსს აჭარის ა/რ. მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეა;

2012-2013 წწ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა;

2013-2016 წწ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეა;

2016-2019 წწ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეა;

2019-2020 წწ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეა;

2020 წლიდან საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია, საარჩევნო ბლოკი: "ქართული ოცნება - ფემოკრატიული საქართველო", საარჩევნო ფორმა: პარტიული სიით.

არის საჯარო სამართლის დოქტორი.



იოსებ გალათურია  
(დ.14.01.1967)

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(2014)

2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.  
სხვადასხვა დროს მუშაობდა ზუგდიდის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს რაიონული სასამართლოების მოსამართლედ.

2012 -2014 წწ. მოსამართლის საქმიანობას ეწეოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში. აქვს აკადემიური მუშაობის გამოცდილება, იგი ხელმძღვანელობდა სამაგისტრო თეზისებს;

2014 წლის მარტიდან ეკავა იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამდებობა.

ამჟამად აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავმჯდომარეა.



ଉକ୍ତାବ୍ୟବ ପରିଚୟ  
(୧୦.୦୮.୧୯୮୩)

## იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი (04.06.2021)

დაიბადა ქ.თბილისში.

2006 წელს მუშაოდა გენპროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტდ; გენპროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში; საგარეო დაზვერვის სპეციალურ სამსახურში; თავ-დაცვისა და იუსტიციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასჯელის მოხდის კანონიერებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის სტაჟიორად;

2006-2009 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის დიდებე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის პროკურორად;

2010-2012 წწ. მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამართველოს უფროსის მოადგილედ;

2012-2013 წწ. მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ;

2013 წელს დაინიშნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსად;

2013-2015 წწ. მუშაობდა მთავარი პროკურორის 1-ლ მოადგილედ;

2015-2018 წწ. მუშაობდა საქართველოს მთავარ პროკურორად; 2018 წლის ნოემბრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მოწვეული ასოცირებული პროფესორია;

2019-2020 წწ. - ს.ს. “სილქნეტის“ იურიდიული კონსულტანტია;

2020 წლის 18 თებერვალს - არჩეულ იქნა საქართველოს გენერალურ პროკურორად;



გაეურ აგულაძე  
(დ. 16.10.1982)

იუსტიციის სახელმწიფო მინისტრი  
(04.06.2021)

დაიბადა ქ.თბილისში.

2005 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახე-ლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

2006 წელს მუშაობდა გენერალური პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორად;

2006-2012 წწ. მუშაობდა გურჯაანის რაიონული პროკურატუ-რის პროკურორად;

2012-2013 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმ-ძღვანელობის განყოფილების პროკურორად;

2013 წელს მუსაობდა მთავარი პროკურატურის თავდაცვისა და სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარე-ბის საკითხთა სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში გამოძიების საპ-როცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორად;

2013-2014 წწ. მუშაობდა აჭარის ა/რ პროკურორის მოადგილედ;

2014-2015 წწ. მუშაობდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანე-თის საოლქო პროკურორად;

2015-2019 წწ. მუშაობდა გენერალური პროკურატურის გენე-რალური ინსპექციის უფროსად;

2020 წლის 25 თებერვალს დაინიშნა საქართველოს გენერალუ-რი პროკურორის 1-ლ მოადგილედ.



გიორგი გაგიშვილი  
(დ.02.01.1982)

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(04.06.2021)

2008 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2007 წლიდან საქართველოს მთავარ პროკურატურაშია სტა-  
უირების პროგრამით. სტაუირების დასრულებისთანავე ის დაინიშ-  
ნა პროკურორად შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო  
პროკურატურაში.

2009 წლიდან მუშაობდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანე-  
თის საოლქო პროკურატურაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორ-  
განოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილე-  
ბის უფროსად.

2013 წლის 14 იანვრიდან გააგრძელა მუშაობა ფინანსთა სამი-  
ნისტროს საგამოძიებო სამსახურის დეპარტამენტის უფროსის თა-  
ნამდებობაზე.

2013 წლის 13 ივნისიდან დღემდე გენერალური პროკურორის  
მოადგილეა.



გიორგი გადაშვილი  
(დ.12.12.1981)

იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი  
(04.06.2021)

დაიბადა ქ.თბილისში.

2003 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

2006 წელს მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

2006-2008 წწ. მუშაობდა საგამოძიებო სამსახურის აჭარის ა/რ სამმართველოში გამომძიებლად;

2008-2011 წწ. მუშაობდა საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს გამომძიებლად;

2011-2012 წწ. მუშაობდა საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მე-2 სამმართველოს უფროსის მოადგილედ და შემდგომში ამავე სამმართველოს უფროსად.

2013 წელს მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული საგენტოს (დეპარტამენტის) დირექტორის მოადგილედ, მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად.

2014-2015 წწ. მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილედ.

2015-2017 წწ. მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილედ.

2017 წლის 7 ივნისიდან გენერალური პროკურორის მოადგილეა.

## 1943-1991 წწ. პერსონალიათა სია:

1. არლუნი მ.მ.
2. ბარაბაძე ა.მ.
3. ბასიშვილი ზ.რ.
4. ბაჯელიძე ჯ.ს.
5. ბიწაძე გ.ს.
6. ბერძენიშვილი პ.ე.
7. ბორჩხაძე გ.გ.
8. გატიკოვი პ.ს.
9. გვარამია ვ.ლ.
10. გიგაური ა.ი.
11. გილიგაშვილი რ.ნ.
12. ედიშერაშვილი ვ.ა.
13. ესაკია დ.ყ.
14. ვარდაია ვ.ვ.
15. თალაკვაძე ლ.გ.
16. თოფურიძე მ.ე.
17. იოსელიანი ვ.ე.
18. კვარაცხელია ი.ს.
19. კვირკველია ზ.მ.
20. კვიცინია ა.კ.
21. კოლუა თ.მ.
22. ლომინაძე ა.ი.
23. ლომიძე მ.ყ.
24. მანჯავიძე შ.ე.
25. ნადირაძე მ.ი.
26. პრავდინი ვ.მ.
27. უღენტი რ.ს.
28. რაზმაძე ვ.ა.
29. რაფავა ი.ნ.
30. როინიშვილი გ.ვ.
31. ტაკიძე ა.ე.
32. ტალახაძე ი.ი.
33. ტუღუში თ.ს.
34. ფურცხვანიძე ბ.ზ.
35. ყიფიანი რ.ბ.
36. ყურაშვილი ვ.ა.
37. შარაშენიძე ვ.ა.
38. შონია ვ.ი.
39. შოშიაშვილი ნ.ხ.
40. ჩიტლოვი დ.ს.
41. ჭილაშვილი ვ.ნ.
42. ჯანჯლავა ს.პ.
43. ჯიბლაძე ო.ა.

საუკუნო ხსენება 35 გარდაცვლილ იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველს!

## პერსონალიათა სია 1992 წლიდან:

1. აბაშიძე ზ.გ.
2. აბულაძე ბ.
3. ასათიანი შ.ო.
4. ახალაია რ.
5. ბაბილაშვილი ჯ.გ.
6. ბადაშვილი გ.
7. ბალუაშვილი ა.კ.
8. ბარაბაძე თ.მ.
9. ბარათაშვილი კ.ა.
10. ბალათურია ი.
11. ბებია ო.ს.
12. ბენიძე ვ.გ.
13. ბენიძე ო.
14. ბუდალაშვილი ა.ა.
15. გაბიტაშვილი გ.
16. გაბრიჩიძე ნ.ო.
17. გელაშვილი ვ.ს.
18. დავითაია პ.ო.
19. დემეტრაშვილი ა.ვ.
20. დაუთაშვილი ა.ვ.
21. ეზუგბაია ზ.ე.
22. თვალავაძე გ.გ.
23. თორდინავა რ.ლ.
24. თუნგია ს.ძ.
25. იმერლიშვილი ი.
26. კერესელიძე დ.ა.
27. კობერიძე კ.გ.
28. კონცელიძე რ.ი.
29. კოპაძე შ.ა.
30. კულულაშვილი ტ.ნ.
31. ლაცუზბაია ა.შ.
32. მაჭავარიანი ს.ვ.
33. მახარაძე თ.ი.
34. მეფარიშვილი გ.დ.
35. მონიავა პ.ო.
36. ნინიძე თ.გ.
37. ოქროაშვილი ი.
38. პაიჭაძე გ.კ.
39. პაჭკორია ზ.ბ.
40. პეტროსიანი ს.მ.
41. რამიშვილი ვ.ა.
42. რევაზიშვილი გ.გ.
43. ტაბატაძე ა.
44. ტალიაშვილი ა.გ.
45. ფაფიაშვილი შ.გ.
46. ქავთარაძე ნ.კ.
47. ქურდაძე მ.ზ.
48. შამათავა ა.კ.
49. შარმანაშვილი თ.დ.
50. შოთაძე ი.
51. წერიალაშვილი გ.ნ.
52. ჭუმბურიძე თ.უ.
53. ხეცურიანი ჯ.გ.
54. ხმალაძე რ.ვ.
55. ხუჯაძე გ.შ.
56. ჯანყარაშვილი ვ.რ.
57. ჯაფარიძე რ.გ.

საუკუნო ხსენება 10 გარდაცვლილ იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველა!

დანართი 1




იუსტიციის პოლიციური ჯემალ გოგიტიძის „წითელი ვარსკვლავის“, ორდენი  
(03.03.1987) და „პროკურატურის სპარატო მუშავის“, სამკერდე ნიშანი  
(№ 1283 -01.02.1988)



იუსტიციის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების  
სიგელი (1988 წლის 11 ნოემბერი)



იუსტიციის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის საბჭოთა პროცურატურის 50 და 60 წლისადმი  
მიძღვნილი სამკერდე ნიშნები (1972 და 1982 წწ.) და სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კურსდამთავრებულის სამკერდე რომბი (1966 წ.).





ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორ ვარშავსკისთან და სხვა  
კოლეგებთან ერთად (მე-2 რიგში მარჯვნიდან მე-2 იუსტიციის პოდპოლკოვნიკი  
ჯ.გოგიტიძე), 1976 წ.



მარჯვნიდან: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი გურამ გვერაძე,  
საქართველოს სსრ პროკურორი ლერი თალაკვაძე, თბილისის გარნიზონის სამხედრო  
პროკურორი იუსტიციის პოდპოლკოვნიკი  
ჯ.გმალ გოგიტიძე, 1976 წ.




მთავარი სამხედრო პროკურატურის დელეგაციის შემადგენლობაში ვიზიტად  
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, (მარჯვნიდან 1-ი იუსტიციის პოლკოვნიკი  
ჯემალ გოგიტიძე), ქ.ბუდაპეშტი, 1980 წ.




შეხვედრაზე უნგრელ კოლეგებთან



იუსტიციის მოლკოვის ჯემალ გოგიტიძე კოლეგებთან ერთად (1988 წ.)





იუსტიციის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის  
საფლავი საბურთალოს სასაფლაოზე

## საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №045

2020 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ტ“ ქვეპუნქტების, მე-18 მუხლის, 83-ე მუხლისა და „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვბრძანებ:

### მუხლი 1

განისაზღვროს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის სახელმწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების თანდართული წესი.

### მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს

გენერალური პროკურორი

ირაკლი შოთაძე

## **საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის სახელ- მწიფო სპეციალური წოდებების მინიჭების წესი**

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

ეს წესი შემუშავებულია „სახელმწიფო სპეციალური წოდებე-  
ბის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და  
განსაზღვრავს საქართველოს პროკურატურის (შემდგომში – პრო-  
კურატურა) თანამშრომლებისთვის სახელმწიფო სპეციალური წო-  
დებების (შემდგომში – სპეციალური წოდებები) მინიჭების წესსა და  
პირობებს.

### **მუხლი 2. სპეციალური წოდებების კატეგორიები**

პროკურატურის სისტემაში სპეციალური წოდებები იყოფა  
შემდეგ კატეგორიებად:

- ა) საშუალო სპეციალური წოდება;
- ბ) უფროსი სპეციალური წოდება;
- გ) უმაღლესი სპეციალური წოდება.

### **მუხლი 3. სპეციალური წოდებები**

პროკურატურის სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წო-  
დებები:

- ა) საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი იურისტი, III  
კლასის იურისტი, II კლასის იურისტი, I კლასის იურისტი;
- ბ) უფროსი სპეციალური წოდება – იუსტიციის უმცროსი მრჩე-  
ველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი;
- გ) უმაღლესი სპეციალური წოდება – იუსტიციის სახელმწიფო  
მრჩეველი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

## **მუხლი 4. სპეციალური წოდების მინიჭება**

1. პროკურორს, პროკურატურის გამომძიებელს და პროკურატურის პროფესიულ საჯარო მოხელეს (შემდგომში – პროკურატურის თანამშრომელი) დაკავებული თანამდებობისათვის, კვალიფიკაციისათვის, სამუშაო სტაჟისათვის, დაკისრებული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის ან სხვა მიღწევებისათვის ენიჭებათ სპეციალური წოდებები.
2. აკრძალულია „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონით გაუთვალისწინებელი სპეციალური წოდების მინიჭება.
3. თანამშრომელს, სპეციალური წოდების არქონის შემთხვევაში, საწყისი საშუალო სპეციალური წოდება მიენიჭება თანამდებობაზე დანიშვნასთან ერთად.
4. ყოფილი თანამშრომელი, სამსახურში ხელახალი მიღების შემთხვევაში, აგრძელებს მუშაობას გათავისუფლებამდე/დათხოვნამდე მინიჭებული წოდებით.
5. პროკურატურის სისტემაში საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ანიჭებს საქართველოს გენერალური პროკურორი, ხოლო უმაღლეს სპეციალურ წოდებებს – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით.
6. თანამშრომელს, ვისი მიზეზითაც მოხდება თანამშრომლისათვის მორიგი სპეციალური წოდების მინიჭების უსაფუძვლო შეჩერება ან/და დაგვიანება, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.
7. თანამშრომელს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური სახდელი ან მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი

დევნა, სპეციალური წოდება არ მიენიჭება დისციპლინური სახდე-ლის მოხსნამდე ან სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე.

#### **მუხლი 5. სპეციალური წოდებების მინიჭების თანმიმდევრობა**

1. სპეციალური წოდებების მინიჭება ხდება თანმიმდევრობით.
2. მორიგი სპეციალური წოდების მინიჭება წარმოებს შესაბა-მისი წინა სპეციალური წოდების გათვალისწინებით, სპეციალური წოდებით სამსახურის ვადის გასვლისა და დაკავებული თანმიმდევ-რობის ზღვრულ წოდებასთან შესაბამისობის შემთხვევაში.
3. პროკურატურის სისტემაში ზღვრული სპეციალური წოდე-ბები განისაზღვრება ამ წესის დანართით.

#### **მუხლი 6. სპეციალური წოდების მისანიჭებლად დადგენილი ვადები**

1. მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადები:

##### **ა) საშუალო სპეციალური წოდება:**

- ა.ა) უმცროსი იურისტი – 1 წელი;
- ა.ბ) III კლასის იურისტი – 2 წელი;
- ა.გ) II კლასის იურისტი – 3 წელი;
- ა.დ) I კლასის იურისტი – 3 წელი;
- ბ) უფროსი სპეციალური წოდება:
  - ბ.ა) იუსტიციის უმცროსი მრჩეველი – 4 წელი;
  - ბ.ბ) იუსტიციის მრჩეველი – 5 წელი;
  - ბ.გ) იუსტიციის უფროსი მრჩეველი – 5 წელი.

2. უმაღლეს სპეციალურ წოდებათა მისაღებად სპეციალური წოდებით სამსახურის ვადა არ განისაზღვრება.

## **მუხლი 7. სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება**

პროკურატურის თანამშრომელს სპეციალური წოდება ვადამდე შეიძლება მიენიჭოს წახალისების ღონისძიების სახით, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და სხვა მიღწევებისათვის.

## **მუხლი 8. სხვა საჯარო დაწესებულებიდან გადმოსულ მოსამსახურეთათვის წოდების მინიჭება**

„სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებიდან გადმოსულ მოსამსახურეს, რომელსაც განსხვავებული სპეციალური წოდება აქვს, მიენიჭება შესაბამისი სპეციალური წოდება წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით.

## **მუხლი 9. სპეციალური წოდების მინიჭების ორგანიზაციული უზრუნველყოფა**

სპეციალური წოდების თანამიმდევრული და დროული მინიჭების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი.

## **მუხლი 10. სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები**

სპეციალური წოდებისათვის გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

## დანართი 4

### საქართველოს იუსტიციის

მინისტრის ბრძანება №71

2009 წლის 8 აპრილი  
ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
მოსამსახურეებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების  
წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ საქართველოს  
კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს  
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,  
ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
მოსამსახურეებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების  
წესისა და პირობების შესახებ თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
სპეციალური წოდებების მინიჭების წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე  
საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 12 თებერვლის № 66 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. ადეიშვილი

# **დეპულება**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს  
მოსამსახურებისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების  
წესისა და პირობების შესახებ**

## **მუხლი 1. ზოგადი დეპულებანი**

ეს დეპულება შემუშავებულია სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (შემდგომში იუსტიციის სამინისტრო) და მისი სისტემის მოსამსახურთათვის სპეციალური წოდებების მინიჭების წესისა და პირობებს.

## **მუხლი 2. სპეციალური წოდებების კატეგორიები**

იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში სპეციალური წოდებები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) უმცროსი სპეციალური წოდება;
- ბ) საშუალო სპეციალური წოდება;
- გ) უფროსი სპეციალური წოდება;
- დ) უმაღლესი სპეციალური წოდება.

## **მუხლი 3. სპეციალური წოდებები**

1. იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

- ა) საშუალო სპეციალური წოდება უმცროსი იურისტი, III კლასის იურისტი, II კლასის იურისტი, I კლასის იურისტი;
- ბ) უფროსი სპეციალური წოდება იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი;
- გ) უმაღლესი სპეციალური წოდება იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

2. იუსტიციის სამინისტროს მმართველოს სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირის აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ა) უმცროსი სპეციალური წოდება იუსტიციის რიგითი, იუსტიციის უმცროსი სერუანტი, იუსტიციის სერუანტი, იუსტიციის უფროსი სერუანტი, იუსტიციის ზემდეგი;

ბ) საშუალო სპეციალური წოდება იუსტიციის უმცროსი ლეიტენანტი, იუსტიციის ლეიტენანტი, იუსტიციის უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

გ) უფროსი სპეციალური წოდება იუსტიციის მაიორი, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი, იუსტიციის პოლკოვნიკი.

#### **მუხლი 4. სპეციალური წოდების მინიჭება**

1. სპეციალური წოდება ენიჭება მოსამსახურეს მისი თანამდებობრივი მდგომარეობის, ნამსახურობის წლების, კვალი-ფიკაციისა და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად.

2. აკრძალულია სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ საქართველოს კანონით გაუთვალისწინებელი სპეციალური წოდებების მინიჭება.

3. მოსამსახურეს სპეციალური წოდება, მისი არქონის შემთხვევაში, მიენიჭება თანამდებობაზე დანიშნვასთან ერთად.

4. ყოფილი მოსამსახურე, სამსახურში ხელახალი მიღების შემთხვევაში, აგრძელებს მუშაობას განთავისუფლებამდე მინიჭებული წოდებით.

5. იუსტიციის სამინისტროსა და მისი სისტემის მოსამსახურეებს უმცროს, საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ანიჭებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, გარდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი შემთხვევებისა, ხოლო უმაღლეს სპეციალურ წოდებებს საქართველოს პრეზიდენტი.

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის

აღსრულების ეროვნული ბიუროს მოსამსახურებს ნომენკლატურის ფარგლებში უმცროს და საშუალო სპეციალურ წოდებებს ანიჭებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს პროექტურის მოსამსახურებს ნომენკლატურის ფარგლებში საშუალო სპეციალურ წოდებებს ანიჭებს საქართველოს მთავარი პროექტორი.

8. იმ მოხელეს, ვისი მიზეზითაც მოხდება მოსამსახურისთვის მორიგი სპეციალური წოდების მინიჭების უსაფუძვლო შეჩერება ან/და დაგვიანება, დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.

9. სპეციალური წოდების მისანიჭებლად წარდგენილი მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში მოსამსახურის უშუალოდ ხელმძღვანელმა აღნიშნულის თაობაზე უნდა აცნობოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტს.

10. მოსამსახურეს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა ან მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ანდა სამსახურებრივი მოკვლევა მის მიერ სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევის ფაქტზე, სპეციალური წოდება არ მიერიჭება დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნამდე, მარეაბილიტირებელ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტამდე ან სამსახურებრივი მოკვლევის დასრულებამდე.

## მუხლი 5. სპეციალური წოდებების მინიჭების თანმიმდევრობა

1. სპეციალური წოდებების მინიჭება წარმოებს თანმიმდევრობით.

2. მორიგი სპეციალური წოდების მინიჭება წარმოებს შესაბამისი წინა სპეციალური წოდების გათვალისწინებით, სპეციალური წოდებით სამსახურის ვადის გასვლისა და დაკავებული

თანმიმდევრობის ზღვრული წოდების მისანიჭებლად წოდებასთან შესაბამისობის შემთხვევაში.

3. იუსტიციის სამინისტროსა და მისი სისტემის მოსამა-სახურეთათვის თანამდებობათა შესაბამისი ზღვრული სპეცი-ალური წოდებები განისაზღვრება ამ დებულებით (№1, №2 და №3 დანართები).

#### **მუხლი 6. სპეციალური წოდების მისანიჭებლად დადგენილი ვადები**

1. მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად დაწესებულია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადები:

ა) საშუალო სპეციალური წოდება:

- ა.ა) უმცროსი ლეიტენანტი, უმცროსი იურისტი 1 წელი;
- ა.ბ) ლეიტენანტი, III კლასის იურისტი 2 წელი;
- ა.გ) უფროსი ლეიტენანტი, II კლასის იურისტი 3 წელი;
- ა.დ) კაპიტანი, I კლასის იურისტი 3 წელი.

ბ) უფროსი სპეციალური წოდება:

- ბ.ა) მაიორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი 4 წელი;
- ბ.ბ) ვიცე-პოლკოვნიკი, იუსტიციის მრჩეველი 5 წელი;
- ბ.გ) პოლკოვნიკი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი 5 წელი.

2. უმცროს და უმაღლეს სპეციალურ წოდებათა მისაღებად სპეციალური წოდებით სამსახურის ვადა არ განისაზღვრება.

#### **მუხლი 7. სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება**

მოსამსახურეს სპეციალური წოდება ვადამდე ენიჭება:

- ა) ატესტაციის შედეგების მიხედვით;
- ბ) განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

#### **მუხლი 8. სხვა სახელმწიფო სამსახურიდან გადმოსულ მოსამსახურეთათვის წოდების მინიჭება**

სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დაწეს-ებულებიდან გადმოსულ მოსამსახურეს, რომელსაც განსხვა-

ვებული სპეციალური წოდება აქვს, მიენიჭება შესაბამისი სპეციალური წოდება წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით.

#### **მუხლი 9. სპეციალური წოდების ჩამორთმევის წესი**

1. სპეციალური წოდების ჩამორთმევის, როგორც დის-ციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების, უფლება გააჩნიათ ამ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს.
2. სპეციალური წოდების ჩამორთმევის ვადა განისაზღვრება ერთი წლით.
3. იმ მოსამსახურის მიმართ, რომელსაც ჩამოერთვა სპეციალური წოდება, მორიგი სპეციალური წოდების მისანიჭებლად ვადის ათვლა დაიწყება სპეციალური წოდების ჩამორთმევის ვადის გასვლიდან მეორე დღეს.
4. სპეციალური წოდების ჩამორთმევის თაობაზე დავა განიხილება სასამართლო წესით.

#### **მუხლი 10. სპეციალური წოდების მინიჭებაზე კონტროლი**

ნომენკლატურის ფარგლებში სპეციალური წოდების მინიჭების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სპეციალური წოდებების თანამიმდევრულ და დროულ მინიჭებაზე კონტროლს ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

#### **მუხლი 11. სოციალური გარანტიები**

სპეციალური წოდებისათვის გათვალისწინებული ხელფასის დანამატი, სამსახურებრივი და სოციალური უზრუნველყოფის სხვა გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მისი სისტემის მოსამსახურეთათვის თანამდებობათა შესაბამისი ზღვრული წოდებები

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

1. მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე და მოადგილეები იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.
2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.
3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მოადგილე იუსტიციის უფროსი მრჩეველი.
4. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი იუსტიციის მრჩეველი.
5. მინისტრის მრჩეველი, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მრჩეველი, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს მრჩეველი, სამმართველოს გამომდიებელი, განყოფილების მრჩეველი, მინისტრის თანაშემწე, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანაშემწე იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
6. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სპეციალისტი, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამმართველოს სპეციალისტი, განყოფილების სპეციალისტი | კლასის იურისტი.

### აღსრულების ეროვნული ბიურო

1. ბიუროს თავმჯდომარე იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი.
2. თავმჯდომარის მოადგილე იუსტიციის უფროსი მრჩეველი.
3. თავმჯდომარის თანაშემწე, თავმჯდომარის რეფერენტი, თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე, მრჩეველი იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.
4. ადმინისტრაციის უფროსი, სამმართველოს უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი იუსტიციის მრჩეველი.

5. სპეციალისტი, ბუღალტერი, არქივარიუსი | კლასის იურისტი.
6. აღსრულების პოლიციის სამმართველოს უფროსი იუსტიციის პოლკოვნიკი.
7. აღსრულების პოლიციის სამმართველოს განყოფილების უფროსი იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი.
8. აღსრულების პოლიციის სამმართველოს ჯგუფის უფროსი იუსტიციის მაიორი.
9. აღსრულების პოლიციის სამმართველოს აღსრულების პოლიციელი იუსტიციის კაპიტანი.

## ავტორთა შესახებ



ნიკოლოზ ჯავალის-ძე გოგიაძის  
(დ.06.02.1960)

იუსტიციის განერალ-მაიორი (24.05.1995)  
საგანგებო და სრულუფლების  
დეპარტამენტი (30.12.2005)

დაიბადა ქ. თბილისში ცნობილი სამხედრო იურისტის - ჯემალ  
გოგიაძის მემკვიდრე.

1977 წელს დაამთავრა ქ. თბილისის №96 რუსული საშუალო  
სკოლა. 1977-1982 სწავლობდა და დაამთავრა სამხედრო ინსტი-  
ტუტის სამხედრო - იურიდიული ფაკულტეტი. ქ. მოსკოვში.

1982-1991 წ. მსახურობდა სამხედრო პროკურატურის  
სისტემაში სხვადასხვა თამამდებობებზე.

1991-1992 წლებში მსახურობდა შინაგანი ჯარების -ეროვნული  
გვარდიის მთავარ სამმართველოში მრჩევლად სამართლებრივი  
მუშაობის დარგში, თავდაცვის სამინისტროს იურიდიული გან-  
ყოფილების უფროსად.

1993-1994 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფოს  
მეთაურის აპარატის განყოფილების უფროსად, მთავარ სამხედრო  
მრჩევლად (ამავე პერიოდში ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას  
სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიაში, მასწავლებლად,  
უფროს მასწავლებლად, კათედრის უფროსის მოადგილედ,  
დოცენტად და კითხულობდა ლექციათა კურსს სამართალში).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით 1994  
წლის 14 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება  
ვადამდე.

**1994-1997** წლებში მსახურობდა საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურორად - გენერალური პროკურორის მოადგილედ, ამავე პერიოდში იყო გენპროკურატურის კოლეგიის წევრი.

**1997** წელს გავიდა თადარიგში.

**20** წელი იმსახურა შეიარაღებულ ძალებში. არის თავდაცვის ძალების ვეტერანი.

**1997** წლის აგვისტოდან მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასვა თანამდებობებზე ცენტრალურ აპარატში და საზღვარგარეთ.

**1997-1998** წლებში მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო-სამართლებრივი დეპარტამენტის, მე - 2 ევროპული დეპარტამენტის, საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. საკონსულო დეპარტამენტის დირექტორად, საქართველოს გენერალური კონსულად ტრაბზონში და სალონიკში.

**2007-2011** წლებში მუშაობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ამავე პერიოდში **2009-2011** წლებში იყო საქართველოს დროებით რწმუნებული აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.

**2017** წლიდან დღემდე მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უცხო ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებთან მუშაობის სამმართველოს უფროსად.

მისი გვარი შესულია „საქართველოს ენციკლოპედიაში,, „ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში,, და „ცნობილ ქართველთა ლექსიკონში,,.

არჩეულია საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად (2007). ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. არჩეულია საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების მრჩეველთა საბჭოს წევრად და საზოგადოების საპატიო წევრად (2023).



მამუკა ჯევალის-ძე გოგიტიძე  
(დ. 21.11.1963)

პოლკოვნიკი (28.02.2003)

პოლიციის პოლკოვნიკი (02.07.2010)

დაიბადა ქ. თბილისში ცნობილი სამხედრო იურისტის - ჯე-მალ გოგიტიძის ოჯახში.

1980 წელს დაამთავრა ქ. თბილისის № 64 რუსული საშუალო სკოლა.

1985-1991 წწ. მსახურობდა ოფიცრად საბჭოთა არმიაში (ამ-იერკავკასიის სამხედრო ოლქში).

1991 წელს მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარში - ეროვნულ გვარდიაში.

1992-2010 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში.

2008 წელი იმსახურა შეიარაღებულ ძალებში. არის თავდაცვის ძალების ვეტერანი. ქართულ ჯარში სხვადასხვა დროს ეკავა რიგი საპასუხისმგებლო თანამდებობა.

2010 წლის მაისიდან მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოში.

აქვს ოთხი უმაღლესი განათლება.

1992 წელს დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი (დაუსწრებლად);

**1996 წელს - უშიშროების სამინისტროს აკადემიის ოპერატი-ული ფაკულტეტი;**

**1999 წელს - გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელე-თო ფაკულტეტი (სასაზღვრო ძალების სამეთაურო-საშტაბო სპე-ციალიზაციით (ექსტერნად).**

**2002 წელს - უკრაინის თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი.**

**2006 წლის 17 აპრილს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში თემაზე „ქართველი ოფიცრები რუსეთის იმპერიის არმიაში XVIII-XIX სს. დასაწყისში“.**

**პირველმა ქართველი ისტორიკოსებიდან ძირფესვიანად შეის-წავლა რუსეთის არმიის ქართველი ეროვნების ოფიცერთა სამხე-დრო სამსახური.**

**ისტორიის დოქტორი, მამუკა გოგიტიძე არის 130 სამეცნიე-რო სტატიის, მათ შორის 20 მონოგრაფიის ავტორი საქართველოს და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებში.**

**არჩეულია საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავ-შირის წევრად (2013), არის რამოდენიმე დისერტაციის ოპონენტი, მრავალი მონოგრაფიის სამეცნიერო რედაქტორი, რეცენზიენტი, სამხედრო კონსულტანტი და სამეცნიერო გრანტების მფლობელი.**

**პერიოდულად გამოდის საქართველოს ცენტრალური ტელე-ვიზიონით, სადაც აშუქებს საქართველოსა და კავკასიის სამხედრო ისტორიის საკითხებს.**

**2007-2010 წლებში საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერიაზე“ მიჰყავდა საავტორო სამხედრო-პატრიოტულ გადა-ცემათა ციკლი „სადაურსა სად წაიყვან...“ სადაც მის მიერ არის მომზადებული 200-ზე მეტი რადიოგადაცემა.**

**2015 წლის 29 დეკემბერს არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის სამხედრო მეცნიერების საბჭოს წევრად.**

**2017 წლიდან საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგა-დოების თანადამფუძნებელია და მისი პირველი თავმჯდომარე.**

2002-2005, 2008-2010 და 2018-2020 წლებში ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში, სადაც კითხულობდა ლექციათა კურსს საქართველოს სამხედრო ხელოვნების საგანში.

არის სამამულო და საზღვარგარეთის რიგ სამხედრო - სამეცნიერო უურნალების სარედაქციო საბჭოების წევრი, „ქართული სამხედრო-ენციკლოპედიური ლექსიკონის“ ავტორი, შემდგენელი და სამუშაო ჯგუფის წევრი (2017), ენციკლოპედია „საქართველოს“ მთავარი სამეცნიერო რედაქციის სამხედრო კონსულტანტი.

მისი გვარი შესულია „ქართულ ბიოგრაფიულ ლექსიკონში“ და „ცნობილ ქართველთა ლექსიკონში“.

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა - „ქართული კულტურის ამაგდარის“ წოდება.

2018 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა წიგნისათვის „საქართველოს 100 ბრძოლა“ (დამხმარე სახელმძღვანელო) მიანიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია.

საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის განკარგულებით - „ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდასა და საქართველოს სკაუტების ეროვნული ორგანიზაცია „შევარდნის“ დაფუძნებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საქველმოქმედო საქმიანობისათვის“ დაჯილდოებულია „ლირსების“ ორენით (01.06.2003),

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მიერ - „ახალგაზრდა თაობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდასა და საქართველოს ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დაჯილდოებულია წმინდა გიორგის მედლით (30.04.2008).

განსაკუთრებული ღვაწლისათვის შეტანილს საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების შექმნის და სამხედრო ის-

ტორიის პოპულარიზაციის საქმეში, არჩეულ იქნა ბაგრატოვანთა სამეფო სახლის ერეკლე მეორის სამეფო ორდენის დარბაზის წევრად და დაჯილდოვდა ერეკლე მეორის სამეფო ორდენით (14.09.2020).

დაჯილდოებულია სასაზღვრო ძალების მედლით - „სასაზღვრო ძალების აღმშენებლობის და განვითარების საქმეში ღირსეული წვლილის შეტანისათვის“ (1999), თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით - უმნიკვლო სამსახურისათვის (III ხარ. - 2008) და შსს სამკერდე ნიშნით 10 წლის უმნიკვლო სამსახურისათვის (2020).

მიღებული აქვს უკრაინის სასაზღვრო ჯარების ორი უწყებრივი ჯილდო.

2021 წლის 20 მაისს არჩეულია ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად.

2022 წელს აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა მიანიჭა - „მშვიდობის ალამდარის“ წოდება.

## **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

### **ნაწილი I**

1. «Ведомости Верховного Совета СССР» 1943 г. № 39;
2. Д.Читлов. Слово имеет прокурор, Тб., 2005, изд., Самштобло,;;
3. В.Аджимамудов. Под сенью закона, Тб., 2002, изд. МАРЖЗ;
4. На страже социалистической законности, Тб. 1972, изд.  
Политуправления КЗакВО;
5. Талахадзе Илларион Илларионович // Справочник по истории  
Коммунистической партии и Советского Союза 1898—1991;
6. ბაბილაშვილი ჯამლეტი - საქართველოს ბიოგრაფიული  
ლექსიკონი; npulg.gov.ge
7. გვარამია ვახტანგი - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;  
npulg.gov.ge
8. გილიგაშვილი როლანდი - საქართველოს ბიოგრაფიული  
ლექსიკონი; npulg.gov.ge
9. ედიშერაშვილი ვალერიანე - საქართველოს ბიოგრაფიული  
ლექსიკონი; npulg.gov.ge
10. ლომიძე მიხეილი - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;  
npulg.gov.ge
11. <http://povdignaroda.ru> (Правдин Владимир Матвеевич);
12. ულენგი რამზი - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;  
npulg.gov.ge
13. რაზმაძე ვახტანგი - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;  
npulg.gov.ge
14. ფურცხვანიძე ბორისი - საქართველოს ბიოგრაფიული  
ლექსიკონი; npulg.gov.ge
15. ყიფიანი სოსო - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;  
npulg.gov.ge
16. შომიაშვილი ნუგზარი - საქართველოს ბიოგრაფიული  
ლექსიკონი; npulg.gov.ge
17. ჩიტლოვი დიმიტრი - საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი;  
npulg.gov.ge

## **ნაწილი ॥**

1. აპაშიძე ზურაბ - საქართველოს ბიოგრაფიული
2. ბალუაშვილი ანზორ - საქართველოს ბიოგრაფიული
3. გოგიტიძე მამუკა,, ბეჟიტაშვილი გიორგი,, გოგოლაძე მამია,, - „დამოუკიდებელი საქართველოს გენერალიტეტი,, (1918-2019), თბ., 2019;
4. დემეტრაშვილი ავთანდილი - საქართველოს ბიოგრაფიული
5. კონცელიძე რესან - საქართველოს ბიოგრაფიული
6. მახარაძე თენგიზი - საქართველოს ბიოგრაფიული
7. მეფარიშვილი გია - საქართველოს ბიოგრაფიული
8. ნინიძე თედო - საქართველოს ბიოგრაფიული
9. ქურდაძე მიხეილი - საქართველოს ბიოგრაფიული
10. ხეცურიანი ჯონი - საქართველოს ბიოგრაფიული
11. შარმანაშვილი თენგიზი - საქართველოს ბიოგრაფიული
12. ჯაფარიძე როსტომი - საქართველოს ბიოგრაფიული

## რეზიუმე

ნაშრომში განხილულიავ საქართველოს სსრ იუსტიციის სხვ-ადასხვა კლასის სახელმწიფო მრჩევლის 43 პერსონალია (1943-1991) და დამოუკიდებელი საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის (1992 წლიდან დღემდე) 57 პერსონალია. მათ შორის ეს წოდება მიენიჭა 1 ქალბატონს. სულ 100 პერსონალია.

ეროვნების მიხედვით ეს წოდება ჰქონდათ მინიჭებული: 92 ქართველს, 3 აფხაზს, 1 ებრაელს, 1 რუსს, 1 სომებს, 1 ბერძენს, 1 ოსს.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და პროფესიონალი მკვლევარებისთვის.

## REZUME

The article discusses 43 staff members of different classes of the State Counselor of Justice of the Georgian SSR (1943-1991) and 57 staff members of the independent Georgian State Counselor of Justice (from 1992 to the present day). Among them, this title was awarded to 1 lady. There are a total of 100 personnel.

According to nationality, they were given this rank: 92 georgians, 3 abkhazians, 1 jew, 1 russian, 1 armenian, 1 greek, 1 ossetian.

The book is intended for a wide range of readers and professional researchers.

## **სარჩევი**

შესავალი .....	8
ნაწილი I (1943-1991) .....	9
ნაწილი II (1992 წლიდან დღემდე) .....	61
პერსონალიათა სია .....	138
დანართები .....	140
ავტორთა შესახებ .....	160
ბიბლიოგრაფია .....	166
რეზიუმი .....	168



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71